ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსისა“ და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენას.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გზით გავხდი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს IV-ე მოწვევის წევრი და ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, შესაბამისად, ვარ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრი, სადაც მუშაობა მიწევს სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს საკრებულოს დღის წესრიგის შედგენა, საკრებულოს სამუშაო გეგმებისა და სამუშაო პროგრამების პროექტების მომზადება, თუ დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობის კოორდინირება.

რაც შეეხება ჩვენს ფრაქციას, ის პარტიულ საფუძველზეა შექმნილი და ამ ეტაპზე 19 დეპუტატს აერთიანებს. საკრებულოს რეგლამენტით მონიჭებული უფლებამოსილებით, ჩვენს ფრაქციას შესაძლებლობა აქვს, გაატაროს საკუთარი კურსი, საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით და გამოვხატავთ კიდეც შეჯერებულ, ერთიან პოზიციას რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

ფრაქციაში შექმნილია 4 თემატური ჯგუფი, რომელიც მოიცავს შემდეგ სფეროებს:

1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობა;
2. კულტურა და ტურიზმი;
3. კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურა;
4. ადგილობრივი თვითმმართველობა და საზოგადოება.

აღნიშნული ჯგუფები კი თავის მხრივ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1.გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამუშაო ჯგუფი:

ა) მუნიციპალიტეტში გარემოზე ზემოქმედების ძირითადი ფაქტორების გამოვლენა და მის აღმოსაფხვრელად პროექტების განხორციელება;

ბ) მუნიციპალური ნარჩენების მართვის მიმართულებით პროექტების განხორციელება;

გ) მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითრების მიმართულებით ღონისძიებების დაგეგმვა, პროექტების განხორციელება.

2.კულტურა და ტურიზმი:

ა) მუნიციპალური პროექტების დაგეგმვა კულტურის სფეროს მიმართულებით;

ბ) მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა;

გ) მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიმართულებით პროექტების განხორციელება:

დ) მუნიციპალიტეტის ტურისტული ზონებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და კეთილმოწყობის მიმართულებით პროექტების განხორციელება.

3.კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურა:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის მიმართულებით მუშაობა ;

ბ)თითმმართველი ერთეულის განაშენიანების რეგულაცია;

გ) ადგილობრივი გზების მოვლა-პატრონობის მიმართულებით პროექტების შემუშავება;

დ) გარე ვაჭრობისა და ბაზრების რეგულირების წესებზე მუშაობა.

ე) წყალმომარაგება და კომუნალური მომსახურება.

4.ადგილობრივი თვითმმართველობა და საზოგადოება:

ა) ადგილობრივი ხელისუფლების გამჭირვალობისა და საჯარო ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფის მიმართულებით ღონისძიებების გატარება;

ბ) ადგილობრივი ხელისუფლების სამოქალაქო კოტროლის მექანიზმის შემუშავება;

გ)მოქალაქეთა ინფორმირებულობა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მისი საქმიანობის წესის შესახებ;

გ) საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, მუნიციპალური პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

აქვე აღვნიშნავ, რომ შესაძლებელია, მოხდეს ჯგუფების პერიოდულად გადაკომპლექტება, პირის პროფესიისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

2019 წელში ფრაქციას ჩატარებული აქვს 11 სხდომა.

ასევე, ვარ ქონების მართვის, ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის წევრი,შესაბამისად, დაკანონმდებლობიდან გამომდინარე, მუშაობა მიწევს სხვადასხვა საკითხებზე.

2019 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე ფრაქციამ განიხილა 2020 წლის ბიუჯეტის

პროექტი და ფრაქციის გადაწყვეტილებით კენჭი ეყარა პროექტის უკან დაბრუნებას შემდეგი სახის შენიშვნით (რეკომენდაციით):

1. სოციალური პროგრამების დაფინანსება 2020 წელს უნდა განხორციელდეს 540 000 ლარით, შეუსაბამობაა მითითებულ თანხასა და თითოეული პროგრამის მიხედვით ჯამურ თანხებს შორის, გაუგებარია რომელი სოციალური პროგრამის დაფინანსება შემცირდა და რამდენით. მოვითხოვეთ დეტალური ანგარიში;
2. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შემცირებულია სოციალური დახმარებისთვის გათვალისწინებული თანხები, გაურკვეველია კონკრეტულად რომელ პროგრამებს მოაკლდა თანხა. საერთოდ სოციალური დახმარების მუხლებში დაფინანსების შეზღუდვა არამართებულად მიგვაჩნია. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს, ამიტომ მოვითხოვეთ, აღნიშნულის გათვალისწინება და შესაძლებლობის შემთხვევაში ცვლილებების შეტანა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში.

3. პროექტში გასასწორებელია ტექნიკური ხასიათის შეცდომები.

2019 წელს ფრაქციამ წარადგინა სხვადასხვა ინიციატივები, მათ შორის ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებასთან დაკავშირებით, რაც იქნა გათვალიისწინებული და მიღებული იქნა შესაბამისი განკარგულება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“.

ასევე ფრაქციამ იმსჯელა კურორტ ბახმაროში ელ. ენერგიის ხარჯებთან დაკავშირებით, რომლის გარკვეული ნაწილის დაფარვაც უხდება მუნიციპალიტეტს, დავალიანების დინამიკა არის მზარდი, დიდი ალბათობით, მომავალი წლისთვის ვერ მოესწრება სრული გამრიცხველიანება, მით უმეტეს, როცა სახლების უმეტესი ნაწილი დაურეგისტრირებელია. თვითმმართველობამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, იქ, სადაც არ იქნება გამრიცხველიანება, მოხდეს კონტროლი, შეიქმნას ჯგუფი, მოხდეს ბანკის ჩართულობა, რადგან მაქსიმალურად უზრუნველვყოთ ნაკლები ხარჯის წარმოშობა.

ბექა გამდლიშვილი

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“თავმჯდომარე

24.12.2019 წელი.